დაიჯესტი

9 – 15 ოქტომბერი, 2021

TRC
ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
Terrorism Research Center

ამერიკის შეერთებული შტატები

ავღანეთიდან სამხედრო კონტინგენტის გაყვანის შემდეგ, 10 ოქტომბერს დოჰაში ამერიკის შეერთებული შტატების და თალიბანის წარმომადგენლების პირველი შეხვედრა გაიმართა. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერის, ნედ პრაისის განმარტებით, მხარეებს შორის „გულახდილი და პროფესიონალური“ საუბარი შედგა, რომლის ფარგლებშიც ქალების და ბავშვების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხი განიხილეს.

ნიუ-იორკის უზენაესმა სასამართლომ 36 წლის დელოვარ მოჰამედ ჰუსეინი დამნაშავედ სცნო თალიბანის დახმარებაში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ძალების საწინააღმდეგოდ.

საერთაშორისო კოალიცია დაეშის წინააღმდეგ განცხადებას ავრცელებს, სადაც საუბარია დეირ ალ-ზორში ჩატარებული სამხედრო სპეცოპერაციის ფარგლებში დაკავებული დაეშის 4 მებრძოლის შესახებ.

12 ოქტომბერს, დიდი ოცეულის შეხვედრაზე პრეზიდენტმა ბაიდენმა კოლეგებთან ერთად ავღანეთში არსებული სიტუაცია მიმოიხილა და პარტნიორი სახელმწიფოს წარმომადგენლებს დაეშის ხორასანის პროვინციის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებისკენ მოუწოდა.

13 ოქტომბერს, ვირჯინიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით 31 წლის ტიმოთი ჯონ უოტსონს თავისუფლების აღკვეთის სახით, 5 წლით პატიმრობა შეეფარდა. ახალგაზრდა მამაკაცი სასამართლომ დამნაშავედ სცნო იარაღის დამზადებისთვის საჭირო მასალების გავრცელებასა და ულტრამემარჯვენე დაჯგუფების წევრობაში.

გაერთიანებული სამეფო

ედინბურგის უზენაეს სასამართლოში 24 წლის სემ იმრის საქმის პირველი მოსმენა დასრულდა. პროკურატურა აღნიშნულ პირს გლენროთში ისლამურ ცენტრზე თავდასხმის დაგეგმვაში და ძალადობრივი ექსტრემისტული ნარატივის შემცველი მასალის გავრცელებაში სდებს ბრალს.

ნორვეგია

ნორვეგიის ქალაქ კონგსბერგში მშვილდ-ისრით შეიარაღებულმა მამაკაცმა 5 ადამიანი მოკლა. ნორვეგიის უსაფრთხოების სამსახურის განმარტებით, მომხდარი ტერორისტულ აქტს წარმოადგენს. თავდასხმაში ბრალდებული, 37 წლის მამაკაცი, ესპენ ანდერსენ ბრათენი გადაყვანილია დროებითი მოთავსების იზოლატორში.

საფრანგეთი

საფრანგეთის სახელმწიფო სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსნების განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე მოქმედი ულტრამემარჯვენე დაჯგუფება QAnon აქტიურად ახორციელებს შეთქმულების და კონსპირაციული თეორიების გავრცელებას საფრანგეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირებს შორის, რაც საფრთხეს უქმნის საფრანგეთის სახელმწიფო უსაფრთხოებას.

კოსოვოს რესპუბლიკა

კოსოვოს გენერალური პროკურატურის განცხადებით, სპეციალურმა სადაზვერვო სამსახურმა და პოლიციამ 10 ოქტომბერს ჩატარებული ერთობლივი სამხედრო სპეცოპერაციის ფარგლებში 5 პირი დააკავეს. აღნიშნულ პირებს ბრალად ედებათ ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვა და ტერორისტული თავდასხმის დაგეგმვა.

თურქეთი

თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, ხალხთა დაცვის შენაერთების მიერ 10 ოქტომბერს განხორციელებულ თავდასხმას თურქეთის მხრიდან მყისიერი და მკაცრი რეაგირება მოჰყვება.

ერაყი

ერაყის პრემიერ-მინისტრმა, მუსტაფა ალ-ქადიმმა, ტვიტერის საშუალებით გაავრცელა ინფორმაცია ერაყის სპეციალური სამსახურების მიერ 11 ოქტომბერს დაეშის მაღალი რანგის წევრის, სამი ჯასიმ ალ-ჯაბურის დაკავების შესახებ.

ერაყის სამხედრო-საავიაციო სამსახურმა დაადასტურა ინფორმაცია 9 ოქტომბერს დიალას პროვინციაში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად დაეშის მებრძოლების ლიკვიდაციის შესახებ.

სირია

სირიის ჩრდილოეთ ნაწილში, ქალაქ აფრინში 11 ოქტომბერს მომხდარ აფეთქებას 6 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. თავდასხმის შედეგად დაშავებულია 12 ადამიანი.

ირანის მიერ მხარდაჭერილი შეიარაღებული სამხედრო ჯგუფები სირიაში ინფორმაციას ავრცელებენ მოსალოდნელი ძალის გამოყენების შესახებ 13 ოქტომბერს პალმირას რეგიონში ისრაელის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის საპასუხოდ.

საუდის არაბეთი

საუდის არაბეთის წარმომადგენლობამ გაეროში 10 ოქტომბერს თხოვნით მიმართა უშიშროების საბჭოს, პასუხისმგებლობა დაეკისროს ირანის მიერ მხარდაჭერილ ჰუსიტ აჯანყებულებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელებისთვის.

ლიბანი

ალმას კვლევითი ინსტიტუტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ჰამასი ზრდის თავის აქტივობას ლიბანში, რაც უსაფრთხოების პრობლემას ქმნის ისრაელისთვის.

2020 წელს ბეირუთში მომხდარ აფეთქებასთან დაკავშირებით 14 ოქტომბერს გამართულ საპროტესტო აქციაზე შიიტურ და ქრისტიანულ თემებს შორის მომხდარ შეიარაღებულ შეტაკებას 6 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ნიგერია

9 ოქტომბერს სოკოტოს შტატში შეიარაღებული თავდასხმის შედეგად სულ მცირე 20 ადამიანი დაიღუპა.

ნიგერიაში ქალაქ იენაგოადან ისლამისტი მებრძოლების მიერ გატაცებული ქალები და ბავშვები საპატრულო სამსახურის მეურვეობის ქვეშ იმყოფებიან. აღნიშნული პირები ისლამისტი მებრძოლების სამალავიდან 9 ოქტომბერს გამოიქცნენ.

ნიგერიის თავდაცვის სამსახურის გენერალმა, ლაქი ირაბორმა, ჟურნალისტებთან საუბრისას დაადასტურა ინფორმაცია დაეშის დასავლეთ აფრიკის პროვინციის ლიდერის, ალ-ბარნავის გარდაცვალების შესახებ.

მოზამბიკი

სამხრეთ აფრიკის კონტრტერორისტული ალიანსის განცხადებით, კაბუ-დელგადუს პროვინციაში განლაგებული თანამეგობრობის სამხედრო კონტინგენტი რეგიონში დარჩება სიტუაციის დასტაბილურებამდე.

მალი

ალ ჯაზირას მიერ გავრცელებული ინფორმაციით, მალის პრემიერ-მინისტრმა, სომეილო ბუბეი მაიგამ, რუსულ მედიასთან საუბარში ბრალი დასდო საფრანგეთის შეიარაღებულ ძალებს კიდალის რეგიონში ტერორისტული დაჯგუფებების სამხედრო წვრთნით უზრუნველყოფაში.

ინდოეთი

11 ოქტომბერს, ქაშმირში ინდოეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მომხდარ სროლას 5 ინდოელი ჯარისკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა.

პაკისტანი

ქალაქ ჰუბში 10 ოქტომბერს მომხდარ აფეთქებას ადგილობრივი მედიის წარმომადგენლის, 35 წლის ჟურნალისტის, შაჰიდ ზეჰრის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ავღანეთი

თალიბანის გადაწყვეტილებით, ახალგაზრდა გოგონებს საშუალება მიეცემათ ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინციებში არსებულ სკოლებში საუდიტორო მეცადინეობებს დაესწრონ.

14 ოქტომბერს ქუნარის პროვინციაში, ასადაბადის ოლქში მომხდარ აფეთქებას 1 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. აფეთქების შედეგად დაშავდა 13 ადამიანი.

15 ოქტომბერს, შიიტურ მეჩეთზე თვითმკვლელი ტერორისტების თავდასხმის შედეგად დაიღუპა 47 და დაშავდა 70 ადამიანი.